საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2565 2016 წლის 15 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების, რომლებიც ჩარიცხულნი არიან აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2016-2017 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისიის 2016 წლის 4 ნოემბრის №15 სხდომის ოქმის გათვალისწინებით, დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების, რომლებიც ჩარიცხულნი არიან აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2016-2017 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსების უზრუნველყოფა

პროგრამული დაფინანსების ფარგლებში და ამ მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**